ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2024 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება (მეორე პალატა) M. D. v 'Tez Tour' UAB, Case C-299/22; ECLI:EU:C:2024:181

მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:

„28 ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა გავიხსენოთ ის, რასაც დირექტივის 2015/2302 მე-12(2) მუხლი ითვალისწინებს, რომ „დანიშნულების ადგილზე ან მის უშუალო სიახლოვეს **გარდაუვალი და განსაკუთრებული გარემოებების** დადგომისას, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტურისტული პაკეტის შესრულებაზე, ან რასაც მნიშვნელოვანი ზემოქმედება გააჩნია დანიშნულების ადგილზე მგზავრების გადაყვანაზე“, ტურისტს უფლება უნდა ჰქონდეს, მგზავრობის დაწყებამდე შეწყვიტოს ტურისტული პაკეტის ხელშეკრულება მისი შეწყვეტისთვის საფასურის გადახდის გარეშე და სრულად დაიბრუნოს აღნიშნული პაკეტის ფარგლებში გადახდილი თანხა.

„29 **„გარდაუვალი და განსაკუთრებული გარემოების“** ცნება, დირექტივის 2015/2302 მე-12(2) მუხლის მნიშვნელობით, ამავე დირექტივის მე-3 მუხლის მე-12 პუნქტშია განმარტებული, როგორც „სიტუაცია, რომელსაც ვერ აკონტროლებს მხარე, რომელიც არის ამგვარი სიტუაციის გამომწვევი და რომლის შედეგების თავიდან აცილება შეუძლებელი იქნებოდა ყველა მიზანშეწონილი ღონისძიების განხორციელების შემთხვევაშიც კი“. “

„30 დირექტივის დეკლარაციული ნაწილის 31-ე პუნქტი განმარტავს აღნიშნული ცნების ფარგლებს და აცხადებს, რომ „[იგი] **შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, საომარ მოქმედებებს, უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა სერიოზულ პრობლემებს, როგორიცაა ტერორიზმი, ადამიანის ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი რისკები, მაგალითად, როგორიცაა სერიოზული დაავადების გავრცელება ტურისტული მიმართულების ადგილზე, ან სტიქიური მოვლენები, როგორიცაა წყალდიდობა, მიწისძვრა ან მეტეოროლოგიური პირობები, რომლებიც შეუძლებელს ხდის დანიშნულების ადგილზე უსაფრთხო გამგზავრებას, როგორც ეს გათვალისწინებულია ტურისტული პაკეტის ხელშეკრულებით.**“

[...]

“32 მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ დებულებებიდან - დირექტივის დეკლარაციული ნაწილის 31-ე პუნქტიდან ან აღნიშნული დირექტივის სხვა რომელიმე დებულებიდან - შეუძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ, **“გარდაუვალი და განსაკუთრებული გარემოების“** შემთხვევის დადგენისთვის, აღნიშნული დებულების მნიშვნელობით, აუცილებელია შესაბამისი კომპეტენტური უწყებების მიერ გაცემული ოფიციალური რეკომენდაცია ტურისტებისთვის შესაბამის ადგილზე მოგზაურობისგან თავის შეკავებასთან დაკავშირებით ან ოფიციალური გადაწყვეტილება, რომლითაც აღნიშნული ადგილი კლასიფიცირდება, როგორც „რისკის შემცველი ადგილი“.

[...]

„36 აქედან გამომდინარე, ასეთი რეკომენდაციებისა თუ გადაწყვეტილებების არსებობა არ შეიძლება წარმოადგენდეს წინაპირობას იმის დასადგენად, რომ **"გარდაუვალი და განსაკუთრებული გარემოების"** დადგომასთან დაკავშირებული პირობა, დირექტივის 2015/2302 მე-12(2) მუხლის მნიშვნელობით, დაკმაყოფილებულია."

„37 მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა, ამ რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებებს, შესაბამისი ტურისტული პაკეტის შესრულებისთვის შეიძლება, თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი მტკიცებულებითი ძალა ჰქონდეს იმ გარემოებების დადგომისა და მისი შედეგების რეალურად არსებობის დადგენის მხრივ იმ ქვეყნებში, სადაც ისინი მოხდა, ასეთ **რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებებს, მიუხედავად ამისა, არ შეიძლება მიენიჭოს ისეთი მტკიცებულებითი ძალა, რომ მათი არარსებობა თავისთავად საკმარისი იყოს იმისათვის, რომ ხელი შეეშალოს ამ გარემოებების დადგომის დადასტურებას.**"

მოკლე მიმოხილვა:

მოცემული საქმე ეხებოდა ლიეტუვის მოქალაქის მიერ ტურისტული პაკეტის გაუქმებას, რაც განპირობებული იყო არაბთა გაერთიანებულ საამიროებში COVID-19-ის გავრცელების შემთხვევების ზრდით. მოქალაქე ითხოვდა, რომ ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილი თანხის გამოყენება მომხდარიყო ტურისტული პაკეტის მომავალში შესასრულებლად, როცა COVID-19-ით ინფიცირების რისკები შემცირდებოდა. აღნიშნულ საკითხზე ლიეტუვის უზენაესმა სასამართლომ მიმართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში, რათა დაედგინა, რამდენად აუცილებელი იყო **გარდაუვალი და განსაკუთრებული გარემოებების** დასადასტურებლად მგზავრობასთან დაკავშირებული ოფიციალური აკრძალვის არსებობა.

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი XXIX
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	„ევროკავშირის სამართლებრივი აქტი ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის 25 ნოემბრის დირექტივა 2015/2302 საგზურით მოგზაურობისა და კომბინირებული სამოგზაურო მომსახურებების შესახებ"
ევროკავშირის დებულება	დირექტივის 2015/2302 მე-12(2) მუხლი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	საქართველოს კანონი „ტურიზმის შესახებ", 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი *(სარეგისტრაციო კოდი: 460070000.05.001.102213; 14/05/2025 კონსოლიდირებული ვერსია)*
საკვანძო ტერმინი	**გარდაუვალი და განსაკუთრებული გარემოებები**

CJEU-ს პრეცედენტული სამართალი	*2024 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება (მეორე პალატა) M. D. v 'Tez Tour' UAB, Case C-299/22; ECLI:EU:C:2024:181*

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამის იურიდიულ პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ რჩევად.